ინდუსტრიალიზაცია და ბუნების დამორჩილების იდეა 1920-1930-იანი წლების ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში

ზაჰესის მშენებლობის მაგალითზე

დავით ნიორაძე

საკვანძო სიტყვები: *ზაჰესი, ინდუსტრიალიზაცია, საბჭოთა ხელოვნება, სოცრეალიზმი, ლენინის ძეგლი, როლეტარული მწერლობა, ბაგრატ მიქელაძე, ირაკლი თოიძე, ემა ლალაევა-ედიბერიძე*

ინდუსტრიალიზაცია პროპაგანდისტული საბჭოთა ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი თემა იყო. მასშტაბური მშენებლობები საუკეთესოდ გამოხატავდა „საბჭოთა ადამიანის“ მიერ ბუნების დამორჩილების და მასზე გამარჯვების იდეას, რაც იდეოლოგიზებული ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა გახდა. შთაბეჭდილებას ქვეყნის სწრაფ განვითარებაზე ქმნიდა ვ. ი. ლენინის მიერ პრიორიტეტულად დასახული ელექტროფიკაციის პროცესი და მასთან დაკავშირებული მშენებლობები მთელი კავშირის მასშტაბით, რომელიც ფართოდ აისახა საბჭოთა, მათ შორის ქართულ სახვით ხელოვნებაშიც. საბჭოთა საქართველოს ელექტროფიკაციის საკვანძო პროექტი, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური - ზაჰესი, რომელიც 1922-1927 წლებში აშენდა, დიდი ხნის განმავლობაში იქცა ქართული მხატვრობის, ქანდაკების, კინოს, ფოტოგრაფიის, ლიტერატურის, მუსიკის თუ თეატრის ერთ¬-ერთ მთავარ თემად. თითოეული დარგი საკუთარი მხატვრული ენით ასახავდა მშენებლობის პროცესს და შესაბამის მხატვრულ-იდეოლოგიური გზავნილების გადმოცემას ემსახურებოდა.

ვამარცხებთ და ვიპყრობთ ასევე ბუნებასაც,
მღელვარე მტკვარის დამორჩილებით[1]

პროპაგანდისტულ საბჭოთა ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ინდუსტრიალიზაციის თემას. ვლადიმერ ლენინის მიერ პრიორიტეტულად დასახული ელექტროფიკაციის პროცესი და მისი თანმდევი მასშტაბური მშენებლობები ფართოდ აისახა საბჭოთა, მათ შორის ქართულ სახვით ხელოვნებაშიც. ის საუკეთესოდ გამოხატავდა ბუნებაზე გამარჯვების, მისი დამორჩილების, ქვეყნის სწრაფი განვითარების ილუზიას, ამიტომაც იქცა საბჭოთა პროპაგანდის მძლავრ იარაღად.

საბჭოთა საქართველოს ელექტროფიკაციის ერთ-ერთი საკვანძო პროექტი: ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური ზაჰესი, რომელიც 1922-1927 წლებში შენდებოდა, დიდი ხნის განმავლობაში იქცა ქართული მხატვრობის, ქანდაკების, ფოტოგრაფიის, კინოს, ლიტერატურის, მუსიკისა და თეატრის აქტუალურ თემად. თითოეული სფერო საკუთარი მხატვრული ენით ასახავდა ჰესის მშენებლობის პროცესს. ეს პარტიის მკაფიო პროპაგანდისტული დაკვეთა იყო. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მხატვრულ ხერხებს, რომელთა მეშვეობითაც ხელოვნებას პროპაგანდისტული გზავნილი საზოგადოებამდე მიჰქონდა.

საბჭოთა კავშირის კულტურის პოლიტიკის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანი იყო 1918 წლის „მონუმენტური პროპაგანდის გეგმა“.[2] პირველი ბოლშევიკური სახელოვნებო რეფორმა,[3] რომლითაც განისაზღვრა, რომ ხელოვნების ნიმუშის შეფასებისას

1 გაზ. კომუნისტი, 1927, N144, გვ. 2.
2 შემუშავებული ვ. ლენინის და ა. ლუნაჩარსკის მიერ.
3 კიკნაძე, წითელი ტერორი, 2019, გვ. 26.

გადამწყვეტია იდეოლოგიური მიზანშეწონილობა და არა მისი მხატვრული რანგი.[4]

1918 წლის 4 მარტს გამოქვეყნდა სოვნარკომის დადგენილება „კინოსაწარმოების კონტროლის შესახებ. 1922 წლის 6 ივნისს ოფიციალურად დაკანონდა ე.წ. მთავლიტი, რომელსაც კინოპროდუქციის ცენზურა ევალებოდა.[5] 1920-1921 წლებში დადგინდა „პროლეტარული კულტურის რეზოლუცია“.[6] ლიტერატურაში ეს პროცესი უფრო ადრე დაიწყო, როდესაც 1905 წელს გამოქვეყნდა ლენინის წერილი სათაურით „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. „ბოლშევიკური პარტია არც ერთ სფეროს არ სტოვებს თავისი გეგმიანი ხელმძღვანელობისა და ზემოქმედების გარეშე. რა თქმა უნდა, მწერლობაც ორგანულად შედის ბოლშევიკური ზემოქმედების ფარგლებში“.[7] 1932 წლის 23 აპრილს გამოიცა სამთავრობო დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ, რის საფუძველზეც, ოფიციალურად დამკვიდრდა სოცრეალიზმი.[8]

საბჭოთა კავშირისთვის, როგორც ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის, მიზანი ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს კონტროლი და დამორჩილება იყო. მათ შორის კულტურისაც. ბოლშევიკებისათვის ხელოვნება საკუთარი პარტიული იდეების აგიტაციაპროპაგანდის საშუალება იყო, შესაბამისად დაკვეთა ითხოვდა ხელოვნებაში რევოლუციონერებისა და ბელადების პორტრეტების, ძლიერი სახელმწიფოსა და ბედნიერი საბჭოთა ადამიანის სახის შექმნას, რომელიც ზედმიწევნით რეალისტურად უნდა გადმოეცათ. „საბჭოთა ხელოვნების მთავარი ამოცანაა ესაუბროს და მიმართულება მისცეს ხალხს, ანუ, უწინარესად, გასაგები იყოს ადამიანებისთვის და მათ ემსახუროს. ...ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა ხელოვნება მხოლოდ რეალისტური შეიძლება იყოს“.[9] „ფორმით ნაციონალური, შინაარსით კი სოციალისტური“ – ამ დევიზით იქმნებოდა პროპაგანდისტული ნამუშევრები. მათ შორის იყო ზაჰესიც, რომლის აშენებაც ისტორიულ ქალაქ მცხეთასთან ახლოს და კაშხალთან ლენინის ქანდაკების დადგმა,[10] რომელიც მკვეთრად უპირისპირდებოდა მის უკან, მთის წვერზე მდგომ მცხეთის ჯვრის ტაძარს, ჩანაფიქრშივე მკაფიო იდეოლოგიური აქცენტი იყო.

ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში 1887 წელს დაიწყო, როდესაც თბილისში ქართული დრამატული თეატრის შენობაში თბური ძრავები დაამონტაჟეს.[11] წყლის ენერგიაზე მომუშავე პირველი სადგური ბორჯომში აშენდა 1898-1899 წლებში[12] არქიტექტორ ვ.ს. შენგარდტის პროექტით.[13] 1922 წელს უკვე საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში ახალი ჰესის აგების საკითხი კვლავ დადგა. 1922 წლის 10 სექტემბერს ზემო ავჭალის ტერიტორიაზე დიდი შაბათობა გაიმართა,[14] საგანგებოდ შეიქმნა „ზაჰესკომი“.[15] ჰესის მშენებლობა 1922 წელს დაიწყო. 1926 წლის 26 ივნისს სამუშაოებს დაესწრო სტალინიც.[16] ამ ფაქტს მხატვარმა კონსტანტინე კიკნაძემ, 1947 წელს, მიუძღვნა დიდი ფერწერული ტილო.[17] ჰესის

4 კიკნაძე, ორმოცდაათიანელები, 2016, გვ. 218-219.
5 გვახარია, ცენზურა კინოში, 2021, გვ. 150-151.
6 ხატიაშვილი, საბჭოთა მითოლოგიური რეალიზმი, 2012, გვ. 137-138.
7 მეტრეველი, ტრადიციებთან მებრძოლი, 2019, გვ. 187.
8 კიკნაძე, დას. სტატია, ორმოცდაათიანელები, 2016, გვ. 222.
9 კიკნაძე, წითელი ტერორი, 2019, გვ. 35.
10 ქანდაკება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აიღეს. დღეს ადგილმდებარეობა უცნობია (დ.ნ.)
11 ზაზუნიშვილი, ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური, 2018, გვ. 293-294.
12 ზაზუნიშვილი, დას. სტატია.
13 ღვინერია, ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური, თბ, 2018, გვ. 293. იდეის ავტორი იყო ფრიდრიხ ფრიდრიხის ძე მოლდენჰაუერი, ბორჯომის ჰესი ფუნქციონირებდა XX საუკუნის შუა ხანებამდე,1970-1975 წლებში შენობაში საბჭოთა დიდების მუზეუმი იყო განთავსებული.
14 ჩოგოვაძე, ჰიდროელექტროსადგურების, 1968, გვ. 47.
15 ჩოგოვაძე, ხელმძღვანელი შალვა ელიავა, დას. ნაშრომი, გვ. 47.
16 გაზ. კომუნისტი, 1926, N124, „სტალინმა თანმხლებ პირებთან ერთად დაათვალიერა მშენებლობის პროცესი და სტუმრების წიგნში ჩანაწერიც გააკეთა: გაუმარჯოს ჩვენ აღმშენებლობას, მუშებს და ტეხნიკურ ძალებს“. სოსო ჯუღაშვილი. 2 ივნისი, 1926 წ“. შემორჩენილია ამ ფაქტის ფოტოსურათებიც. (იხ. ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელი)
17 ИСКУССВО, 1952. გვ. 223.

ოფიციალური გახსნის ცერემონია, რომელიც კინოქრონიკაშიცაა ასახული, ჩატარდა 1927 წლის 26 ივნისს. გაზეთი კომუნისტი წერდა: „საბჭოთა საქართველო და ძმური რესპუბლიკები ზეიმობენ დღეს ზაჰესის გახსნას“.[18] გადაიღეს დოკუმენტური ფილმი ჰესის მშენებლობაზე.[19] პრესაში წინდაწინ დაიწერა ზაჰესის გახსნის პროგრამა. ცეკვა-თამაშობებით (ბერიკაობა, ყეენობა), სიმფონიური ორკესტრის თანხლებით, ქართული სტილის საზეიმო თაღის აღმართვით, ფერადი ნათურებით განათებული ლენინის ძეგლით თუ სხვა თეატრალიზებული ხერხების გამოყენებით კი, ეს მოვლენა სახალხო ზეიმს დაემსგავსა,[20] სადაც ზაჰესი გამოჩნდა, როგორც ახალი ეპოქისა და ახალი საქართველოს სიმბოლო.

ზაჰესის კომპლექსში რამდენიმე შენობაა: საგენერატორო სადგური, გამანაწილებელი ნაგებობა, კაშხალი.[21] კომპლექსის არქიტექტორები იყვნენ ანატოლი კალგინი, მიხეილ მაჭავარიანი და კონსტანტინ ლეონტიევი.[22] ანატოლი კალგინმა,[23] ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ქართული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების შესწავლისათვის გამართულ ექსპედიციებში მონაწილეობისას[24] მიღებული გამოცდილება, თავის შემოქმედებაში გადაიაზრა, რაც კარგად გამოჩნდა 1912-1916 წლებში, მხატვარ ჰენრიკ ჭრინევსკისთან ერთად აგებულ,[25] სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობაში,[26] შემდეგ კი ზაჰესის კომპლექსში.

კომპლექსის მთავარი მხატვრულ-არქიტექტურული აქცენტი მტკვრის პირას აგებული საგენერატორო შენობაა. მთავარი ფასადი რვა შეისრულთაღიანი, განიერი და ბრტყელი ნიშითაა დაყოფილი. ნიშებს ასეთივე ფორმის განიერი სარკმლები აქვთ. ისინი განკუთვნილია ინტერიერში დამატებით განათებისთვის, თაღის შეისრული ფორმა კი მეტად სახიერსა და მეტყველს ხდის ფასადს.

ზაჰესის მშენებლობის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ჰიდრო-ინჟინერი ბაგრატ მიქელაძე, რომელიც შემდგომ რიონჰესის მშენებლობაზეც მუშაობდა. ამ ნაგებობებისთვის, მან, 1927 წელს შრომის წითელი ორდენი, 1936 წელს კი ლენინის ორდენი მიიღო. 1937 წლის 24 აგვისტოს ბაგრატ მიქელაძეს საბჭოთა მთავრობამ დახვრეტა მიუსაჯა. მის ოჯახში ინახება ზაჰესის მშენებლობის ამსახველი ფოტო-არქივი, რომელთა ავტორია ბორის ტრონოვი.[27]

საგულისხმოა, გავიაზროთ, თუ რა პრინციპით შეირჩა ჰესის ასაშენებლად მცხეთის მიმდებარე ტერიტორია. განმსაზღვრელი, სავარაუდოდ, იქნებოდა მცხეთის – უძველესი ქალაქის, მისი ანტიკური ისტორიის, შემდგომ კი, ქრისტიანთათვის საკრალური ადგილის მნიშვნელობა. „მცხეთაში იკვრებოდა ქართული კოსმოსი, ეს იყო ქრონოტოპოსი, რომელშიც თავს იყრიდა და ერთმანეთს ეჯაჭვებოდა საკრალური დრო-სივრცე და ქართველთა კულტურული პლასტები.[28] შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ეს ტერიტორია შეირჩა ლენინის მასშტაბური ქანდაკების დასადგმელად, რომლითაც, დიმიტრი თუმანიშვილის თქმით, ფსევდორელიგიის და ფსევდოკულტის ჩანერგვა უნდა მომხდარიყო.[29] ლენინის ძეგლები 1920-იან წლებში საქართველოს არაერთ ქალაქში დაიდგა, მათ შორის ქუთაისშიც, 1924 წელს დანგრეული[30] საკა-

18 გაზ. კომუნისტი, 1927, N144, გვ. 1.

19 ფილმი უჩვენეს კინოთეატრ აპოლოში. გაზ. კომუნისტი, 1927, N143, გვ. 4.

20 მზადება ზაჰესის საზეიმო გახსნისათვის. გაზ. კომუნისტი. 1927, N140, გვ. 2.

21 ბერიძე, საბჭოთა არქიტექტურის, 1955, N4, გვ. 94-96.

22 იქვე. გვ. 79.

23 კვლევა ა. კალგინის შესახებ იხ. ბერძენიშვილი გ., ანატოლი კალგინი 145, თბ. 2020 წ.

24 ა. კალგინი ე. თაყაიშვილს სამხრეთ საქართველოში გამართულ ორ ექსპედიციაში ახლდა თან: 1907 წელს კოლა ოლთისში და 1917 წელს ტაოში, სადაც ძეგლების ანაზომებს აკეთებდა და ამ პროცესს ხელმძღვანელობდა. თაყაიშვილი ე., ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, ტფ. 1924, თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია, 1907 წელს, პარიზი, 1938.

25 კიკნაძე, ჭრინევსკი 150, 2019.

26 დღეს ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი. ლ. გუდიაშვილის ქუჩა.

27 მიქელაძე-ბახსოლიანი, ზაჰესი, 2022.

28 კლდიაშვილი, ისტორიის რეცეფცია, 2015, გვ. 113.

29 თუმანიშვილი, XX საუკუნის, 2020, გვ. 163.

30 კეზევაძე, ქუთაისის სობორო, გვ. 13-19.

თედრო ტაძრის (სობორო) ადგილზე, 1926[31] ან 1927[32] წელს იაკობ ნიკოლაძის მიერ. ლენინის მონუმენტურ ქანდაკებას ფონად გრანდიოზული არქიტექტურული კომპლექსი ჰქონდა.[33]

ღია სივრცეში მდგომი ქანდაკება საბჭოთა იდეოლოგებს მასობრივი შეგნების ფორმირებისათვის[34] საუკეთესო საშუალებად მიაჩნდათ. ქანდაკებისთვის ადგილის შესარჩევად სპეციალური კომისია ჩამოვიდა მოსკოვიდან.[35] ქანდაკება მაშინდელი ლენინგრადის (დღეს სანკტ-პეტერბურგი) ქარხანაში ჩამოასხეს ბრინჯაოსგან.[36] ავტორი იყო რუსი მოქანდაკე ივან შადრი[37] (1887-1941). მაღალ პოსტამენტზე[38] მდგომ ქანდაკებას მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ქვემოთ, მდინარისკენ ჰქონდა მიმართული. ეს ჟესტი დომინაციის მკაფიო გამომხატველი იყო.

იგივე მხატვრული დატვირთვის მატარებელია არაერთი სხვა ნამუშევარიც, რომლებიც ზაჰესს მიეძღვნა. 1927 წელს, მელიტონ ბალანჩივაძემ, სპეციალურად ზაჰესის გახსნის ცერემონიისთვის შექმნა კანტატა „დიდება ზაჰესს“.[39] ბალანჩივაძე იგონებს, რომ სტალინმა დაავალა დაეწერა ნაწარმოები ზაჰესზე, როდესაც ის სტუმრობდა მის ოპერას „დარეჯან ცბიერი“.[40] კანტატის პარტიტურის გარეკანზე, მარჯვენა ქვედა კუთხეში, გამოსახულია ლენინის ქანდაკება, რომლის მბრძანებლური ჟესტი მიმართულია მის წინ ხალხის მასის, მტკვრის და ზედა მარცხენა კუთხეში მცხეთის ჯვრისკენ. 1926 წელს ბორის ფოგელმა შეასრულა რამდენიმე ფერწერული ტილო ზაჰესის თემაზე, რომლებშიც ყველაზე ნაკლებად ჩანს იდეოლოგიური აქცენტები. სავარაუდოდ, 1926-1927 წლებში შეასრულა ემა ლალაევა-ედიბერიძემ ზაჰესის პლაკატი ქართულ და რუსულ ენებზე. უცნაურია, რომ დიაგონალურ კომპოზიციაში, სადაც წარწერა „ზაჰესი“ დომინანტია, არ ჩანს ლენინის ძეგლი. ქანდაკება ჯერ არ იყო დადგმული, როდესაც მხატვარმა პლაკატი შექმნა, თუ თავად არ ჩახატა ეს უცნობია ჩემთვის. რუსი მხატვრის იგნატ ნივინსკის 1927 წლის ნამუშევარზე,[41] ლენინის ქანდაკება მთლიანად იკავებს მარჯვენა მხარეს და ყველასა და ყველაფერზე მაღლა დგას, რაც ხაზს უსვამს მის დომინანტურ მნიშვნელობას.

ირაკლი თოიძის სურათში „შრომის დღესასწაული“[42] ჩართულია საყურადღებო ელემენტი: ნაციონალური სამოსში გამოწყობილი მამაკაცი ყურძნის კალათით ხელში, რაც რთველის ასოციაციას ბადებს. ზოგადად ეროვნულობის ხაზგასმა საბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, თითქოსდა ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.[43] მამაკაცის გასწვრივაა ლენინის ძეგლის სილუეტი და მისი ჟესტი სწორედ ხელებაპყრობილი კაცისკენაა მიმართული. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით (29. 09. 1927) ირაკლი თოიძეს 1927 წელს ჰქონდა შესრულებული ზაჰესის თემაზე სურათი, რომელიც მოსკოვში გასამართი გამოფენის სიაში იყო.[44] საინტერესოა 1952 წლის რუსული გამოცემა ქართულ სახვით ხელოვნებაზე, რომლის გარეკანზეც ირაკლი თოიძის ამ ნამუშევრის გრავიურაა გამოყე-

31 შანიძე, იაკობ ნიკოლაძე, 1962, გვ. 19.
32 ისტორიის ფურცლები, 2017, გვ. 69.
33 ძეგლის დაკვეთის და მომზადების პროცესის შესახებ არაერთხელ დაიწერა პრესაშიც, იხ. გაზ. მუშა, 1924, N496, N498, 1926, N971, N985.
34 მონუმენტური პროპაგანდის გეგმა, სწორედ, საბჭოთა ბელადებისა და რევოლუციონერების ქანდაკებების დადგმას გულისხმობდა (დ.ნ).
35 გაზ. კომუნისტი, 1926, N126, გვ. 3.
36 გაზ. კომუნისტი, 1926, N198, გვ. 3.
37 ნამდვილი გვარი ივანოვი, ის იყო ქალაქ შადრიდან (დ. ნ.).
38 ქანდაკების სიმაღლე იყო 22 მ. არქიტექტორი ს. ჩერნიშოვი. კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, 1990, გვ. 283.
39 ბალანჩივაძე, ჩაჩავა (ტექსტის ავტორი), 1927, (ამ ეტაპზე ჩემთვის უცნობია გარეკანის ავტორი (დ. ნ))
40 ხუჭუა, მელიტონ ბალანჩივაძე, 1950, გვ. 81-82.
41 Аболина, Ленин, 1987, ფოტო N 36, გვ. 57.
42 სურათი ამ სახელწოდებით გამოქვეყნებულია. ა. კლდიაშვილის სტატიაში - ისტორიის რეცეფცია, 2015, N4, გვ. 118. სურ. 6.
43 კლდიაშვილი, დას.ნაშრ., გვ. 119.
44 საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი. ფონდი 10, ანაწ. 1, საქ. 1, ფურც. 86, 87.

ნებული, შესრულებული მხატვარ მიხაილ მატორინის მიერ.[45] თემა, კომპოზიცია, ფიგურები იგივეა, თუმცა სხვაობაა ერთ მნიშვნელოვან დეტალში: არ არის ლენინის ძეგლი. ეს კითხვებს აჩენს: რით იხელმძღვანელმა გრავიურის ავტორმა? რა იყო მიზანი?

გამორჩეულია ირაკლი თოიძის სურათი „ილიჩის ნათურა", ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ტიპური ნიმუში სოცრეალიზმისა ზაჰესის თემაზე. მარადიული სინათლის და ბელადის გაიგივება, მისი სიდიადის ყოველდღიურ ყოფაში დამკვიდრება, რაც მუდმივი თაყვანისცემის დატვირთვას ატარებდა და ზოგადი პროპაგანდისტული ხაზის ეფექტური გამოხატულება იყო.

1930-იან წლებში ზაჰესის თემა აქტუალურია კინოშიც. უნდა გამოვყოთ ორი ფილმი: მიხეილ ჭიაურელის „ხაბარდა" (1931), სადაც ჰესი ფილმის ფინალურ ეპიზოდშია ჩართული და ასევე, კინოდოკუმენტალისტ ძიგა ვერტოვის ფილმი, „3 სიმღერა ლენინზე" (1934), რომელიც ლენინის გარდაცვალების მეათე წლისთავს მიუძღვნეს.[46]

ზაჰესის თემა ჩართულია საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის (1938),[47] ფრიზის საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის ამსახველ მონაკვეთზე. ბარელიეფების ავტორია თამარ აბაკელია.[48]

იოსებ შარლემანის დეკორატიულ ესკიზში, სახელწოდებით „დეპუტატი" (რომელიც, სავარაუდოდ, სპექტაკლისთვისაა შექმნილი),[49] ფონად ზაჰესის ხედია გამოყენებული. ორ ელექტრობოძს შორის მოქცეული ლენინის ძეგლი და მცხეთის ჯვარი, ერთმანეთთან დაპირისპირებული, მკაფიო შინაარსობრივი აქცენტებია.

მწერლობის დამორჩილება და ლიტერატურის პარტიული ინტერესებისათვის გამოყენება კომუნისტების ერთ-ერთი მიზანი იყო.[50] მოთხრობები და ლექსები ზაჰესის შესახებ ჰესის მშენებლობის პერიოდშივე ჩნდება ჟურნალ-გაზეთებში. ლექსში „მტკვარისტანი",[51] სადაც ზაჰესი მზედაა გამოყვანილი, ბუნების დამორჩილების იდეისთვის კარგი გამომხატველია სტროფი, სადაც მტკვარი „ამბობს": „რა ვქნა, მე გული დამიხეთქეს ელვის ტივებით, / რა ვქნა, კისერზე მატეხავენ რკინის ურდულებს". მტკვრის და ბუნების დამორჩილებაზე აქცენტი განსაკუთრებული იყო: „ძლიერი ბეტონის საგუბარით და მძიმე რკინის ფარებით დაჭედეს მტკვარი, აღვირი ამოსდეს მის მქუხარებას, შეუშალეს და შეაბეს აღმშენებლობით მუშაობაში".[52] „ყოველ 25 თებერვალს მე ვუმღერ ზაჰესს" – ასეთი შესავლით აღინიშნა საქართველოს გასაბჭოების თარიღი,[53] როგორც ოქტომბრის რევოლუციის და 1921 წლის 25 თებერვლის მონაპოვარი. საინტერესო შედარებაა გიორგი ლეონიძის ლექსში: „და შენ ზაჰესო, ქართლის ემბაზო", რაც ელექტროსადგურისთვის მნიშვნელობის საკრალურამდე ამაღლებას ნიშნავს.[54]

აღსანიშნავია ლიტერატურული კრიტიკა, სადაც ქართველი ავტორები, კერძოდ გერონტი ქიქოძე, გაკიცხეს იმის გამო, რომ მცხეთის ჯვარი, გაბედა და „ზაგესზე" მაღლა დააყენა. „ელექტროფიკაციის საქმეზე უფრო მაღლა აყენებს ქვისა და კირის პრიმიტიულ კულტურას".[55] მცხეთის ჯვრის და ზაჰესის „დაპირისპირება" ასახა შალვა დადიანმა მოთხრობაში „ა.თ.ე", რომელიც გვიყვება ორი ხუროთმოძღვრის ისტორიას, მათ მცხეთის ჯვრის ტაძრის რესტავრაცია გადაწყვიტეს და მცხეთისკენ მიმავალთ გზაში ზაჰესის მუშებთან ცხარე კამათიც მოუვიდათ. კოლმეურნე ქალ ელოსთვის ძრავები, ტურბინები, ელექტრონი

45 საბჭოთა საქართველოს ხელოვნება. (რუსული გამოცემა).1952.
46 გვახარია, ცენზურა კინოში, 2020, გვ. 155.
47 არქიტექტორი ალექსეი შჩუსევი.
48 შანიძე, ქართული საბჭოთა ქანდაკება, 1975, გვ. 81.
49 ამ ეტაპზე ჩემთვის უცნობია რომელი სპექტაკლის ესკიზია და განხორციელდა თუ არა დადგმა. (დ.ნ.)
50 სტატია მეტრეველი ს., ტრადიციებთან მებრძოლი, 2019, გვ. 185-212.
51 მნათობი, 1926, N2. გვ. 11-12.
52 გაზ. კომუნისტი. 1927, N44, გვ. 3.
53 მაშაშვილი, დიდება ზაჰესს, 1927, N45, გვ. 3.
54 ლეონიძე, სიმღერები ელექტროფიკაციისა, 1927, N10, გვ. 24.
55 ქიქოძე, ანგარიში და კრიტიკა, 1929, N1, გვ. 132.

უფრო მნიშნელოვანი იყო, ვიდრე დრომოჭმული და ხავსმოკიდებული რაღაც კედელი.[56] საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ 1927 წლის რამდენიმე ნომერში გამოქვეყნდა ილუსტრირებული ლექსები და მოთხრობები: „ზაჰესის ჩიტები“[57] და „ზაჰესის ხომალდი“.[58] ზაჰესი იყო ახალი მზე თბილისისთვის,[59] რომლის შუქიც ბრმებმაც კი იგრძნეს.[60]

კომუნისტების იდეა ახალი ადამიანის შექმნა იყო. ამ პროცესში კულტურის დამორჩილებასა და ინდუსტრიალიზაციის თემაზე შექმნილ ნამუშევრებს პრიორიტეტული ადგილი ეკავა. ინდუსტრია რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, საბჭოთა მაღალჩინოსნების ფსევდონიმებშიც კარგად ჩანს მაგ: სტალინი (რუს. ფოლადი), მოლოტოვი (რუს. ჩაქუჩი, ურო).[61] ჰესების არქიტექტურა მოწმობდა ადამიანის გამარჯვებას ბუნების სტიქიურ ძალებზე.[62] თავისთავად, ჰესების მშენებლობა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ნაყოფი იყო და ადამიანთა ყოფის გაუმჯობესებას ნიშნავდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისთვის ის იდეოლოგიურ იარაღადაც გადაიქცა. ეს იდეოლოგიური მახვილები სწორედ საბჭოთა ადამიანის თვითშეგნების და მძლავრი სისტემის სახის შექმნას უწყობდა ხელს, ხოლო ტრადიციული კულტურის მნიშვნელობის დამცრობა-გაუფასურება ახალი მიღწევების ფონზე – მეორე იდეოლოგიური მახვილი იყო. კულტურის დამორჩილებით კი, სადაც ხელოვნება არ უნდა ყოფილიყო ნეიტრალური,[63] პროპაგანდის საგნად აქცია ის, ხელოვანი კი ასეთ გარემოში ქმნიდა „ფორმით ნაციონალურს და შინაარსით სოციალისტურ“ ხელოვნებას, რომელმაც უკუაგდო შემოქმედებითი თავისუფლება და რომლის შინაარსიც აკაკი ბაქრაძემ შესანიშნავად გამოხატა: „შემოქმედებითი თავისუფლება უპირველესად ორ აუცილებელ კომპონენტს გულისხმობს – პირველი, მწერალს (საერთოდ ხელოვანს) უნდა ჰქონდეს საკუთარი კონცეფცია და მეორე – ზნეობრივი პასუხისმგებლობა. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი უარყოფს ორივე კომპონენტს და, ამდენად, შემოქმედებით თავისუფლებას“.[64] 1920-1930-იანი წლების ზაჰესი ინდუსტრიალიზაციის უმთავრესი თემა იყო. მომდევნო ათწლეულებში განხორციელებული დიდი ინდუსტრიული პროექტები, ასევე, ფართოდ აისახებოდა ხელოვნებაში (რიონჰესი, ჭიათურის მანგანუმის საბადო). თუმცა, ზაჰესს, რომლის მშენებლობა საქართველოს გასაბჭოების პირველ ათწლეულში და ზოგადად, საბჭოთა ხელოვნების კონცეფციის ფორმირების პირველ ეტაპზე მიმდინარეობდა, ჰქონდა განსაკუთრებული დატვირთვა და დიდწილად განსაზღვრა სამომავლოდ თემის მხატვრული ინტერპრეტაციის საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამაშუკელი თ., არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტი, ჟურ. აკადემია, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 2018-2019, N7, გვ. 55-59.
- ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბ. 2019.
- ბერიძე ვ., საბჭოთა არქიტექტურის ისტორია, ჟურ. ARS-GEORGICA, N4, თბ. 1955, გვ. 94-96.
- ბერძენიშვილი გ., ანატოლი კალგინი, თბ. 2020.

56 დადიანი, რჩეული თხზულებანი, ტომი I, 1958 წ. გვ. 381.
57 სიხარულიძე, ზაჰესის ჩიტები, 1927, N7, გვ. 4.
58 ჟურ. ნაკადული, თბ. 1927, N8. გვ. 11-16.
59 ახალი მზე, გაზ. კომუნისტი, 1927, N144, გვ. 4.
60 ბრმებმაც კი იგრძნეს, გაზ. კომუნისტი, 1927, N144, გვ. 4.
61 მონტეფიორე, სტალინი, 2012, გვ. 47.
62 მიხაილოვი, სამოქალაქო, 1978, გვ. 414-415.
63 1925 წლის 18 ივლისს გამოქვეყნდა ცენტრალური კომიტეტის შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: კლასობრივ საზოგადოებაში არ არის და არც უნდა იყოს ნეიტრალური ხელოვნება. იხ. სტატია მეტრეველი ს., ტრადიციებთან მებრძოლი, 2019, გვ. 187.
64 ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, 2019, გვ. 42.

- გვახარია გ., ცენზურა კინოში, თბ. 2021.
- დადიანი შ., რჩეული თხზულებანი. ტომი I. თბ. 1958.
- დარჩია ქ., ლალი ემა ლალაევა-ედიბერიძე. თბ. 2018.
- თაყაიშვილი ე., ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი. ALBUM D'ARCHITECTURE GEORGIENNE, ტფ. 1924.
- თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938.
- ზაზუნიშვილი ნ., ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი V სამეცნიერო საიუბილეო კონფერენცია - მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა. თბ. 2018.
- კეზევაძე მ. ქუთაისის სობორო. ჟურ. მწვანეყვავილა, ქუთაისი, N2, 2021, გვ. 13-19.
- კიკნაძე ე., წითელი ტერორი და ქართველი მხატვრები, თბ. 2019.
- კიკნაძე ე., ჰენრიკ ჭრინევსკი 150, თბ. 2019.
- კიკნაძე ე., ორმოცდაათიანელები - მხატვრული რეფორმა და მისი ისტორიული კონტექსტი, XX საუკუნის ხელოვნება, ტრადიცია და ინოვაცია, თბ. 2016. გვ. 217-232.
- კლდიაშვილი ა., ისტორიის რეცეფცია მე-20 საუკუნის ქართულ მხატვრობაში, ჟურ. აკადემია, თბ. 2015, გვ. 108-119.
- ლეონიძე გ., სიმღერები ელექტროფიკაციისა, ქართული მწერლობა, 1927, N10.
- მნათობი, ტფ. 1926. N2. გვ: 11-12.
- მეტრეველი ს., ტრადიციებთან მებრძოლი მწერლობა, ჟურ. გული გონიერი, N23. თბ. 2019, გვ. 185-212.
- მიხაილოვი ბ., სამოქალაქო და სამრეწველო შენობების არქიტექტურა, თბ. 1978.
- მონტეფიორე ს., სტალინი წითელი მეფის კარი, თბ. 2012.
- ნანიკაშვილი ლ., დაუშვილი ა., ხაბერდია მ., ზაჰესის ისტორია, თბ. 1977.
- სიხარულიძე ი., „ზაჰესის ჩიტები". ჟურ. ნაკადული. თბ. 1927, N7.
- სოციალისტური საქართველოს შენება, სტატია: მიქელაძე-ბახსოლიანი ნ., ზაჰესი: ეს მექანიზმების მუზეუმია., თბ. 2022.
- ქიქოძე პ., ანგარიში და კრიტიკა ათას ცხრაა ოცდარვა წლის ლიტერატურული პროდუქციის შესახებ, ჟურ. მნათობი, N1, 1929. გვ.132.
- ღვინერია თ., ბორჯომის ჰიდროელექტროსადგურის ისტორიულ-არქიტექტურული თავისებურებანი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი V სამეცნიერო საიუბილეო კონფერენცია - მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა. თბ. 2018.
- შანიძე ლ., ქართული საბჭოთა ქანდაკება. თბ. 1975.
- შანიძე ლ., იაკობ ნიკოლაძე, ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1962.
- ჩოგოვაძე გ., ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საქართველოში, თბ. 1968.
- ხატიაშვილი თ., საბჭოთა მითოლოგიური რეალიზმი (ალექსანდრე მედვედკინის ფილმებზე დაყრდნობით), XX საუკუნის ხელოვნება, ხელოვნება ტოტალიტარიზმის პერიოდში, 1930-1960. თბ. 2012.
- ხუჭუა პ., მელიტონ ბალანჩივაძე, მონოგრაფია, თბ. 1950.
- ИСКУССВО СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ. НАРОДОВ СССР. МОСКВА. 1952.
- Аболина Р. Я., Ленин в советском изобразительном искусстве: Живопись. Скульптура. Графика, 1987, ფოტო N 36, გვ. 57.
- საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 10, ანაწ. 1, საქმე 1, ფურცლ: 86, 87.
- გაზ. კომუნისტი, 1926, N124, N126, N198; 1927, N45,N140, N144, N143.

INDUSTRIALIZATION AND THE IDEA OF SUBJUGATION OF NATURE IN THE GEORGIAN SOVIET ART OF THE 1920s–1930s

In the Context of ZAHESI Construction

Davit Nioradze

Keywords: *ZAHESI, industrialization, soviet art, social realism, statue of Lenin, proletarian writing, Bagrat Mikeladze, Irakli Toidze, Emma Lalaeva-Ediberidze.*

Industrialization was one of the main themes of propaganda in Soviet art. Large-scale constructions best expressed the illusion of subjugation of nature by the "Soviet man", victory over it, and his heroic inspiration, which became one of the main tasks of ideological art. The impression of rapid development of the country was created by the process of electrification prioritized by Vladimir Illich Lenin and the constructions associated with it throughout the Soviet Union were widely reflected in Soviet, including Georgian, fine arts.
The key project for the electrification of the Soviet Georgia – the Zahesi hydropower plant, which was built in 1923-1927, has long been one of the main topics of Georgian painting, sculpture, cinema, photography, literature, music and theatre Each of these fields mirrors the construction process through its own artistic language, serving to convey the relevant artistic-ideological messages.

We defeat and conquer the Nature, even the tumultuous Mtkvari[1]

In Soviet times, industrialization was considered a great feat. Electrification set by Vladimir Lenin was iconic revolutionary and its accompanying large-scale constructions were widely reflected in Soviet, including Georgian, fine art. It was the crass expression of illusive victory over nature, its subjugation, rapid development of the country, and a powerful tool of Soviet propaganda.

One of the key electrification projects of the Soviet Georgia was Zemo Avchala Hydropower Plant (ZAHESI) built between 1922 and 1927 to become a hot-button issue of the Georgian painting, sculpture, photography, cinema, literature, music and theatre for a long time. Each area depicted the construction process of the HPP in its own artistic language. This was a clear propaganda order of the party. In this paper, we will discuss the artistic ways through which art was manipulated to portray a propaganda message to the public.

The Monumental Propaganda Plan of 1918[2], the first Bolshevik art reform[3], was important for the development of the cultural policy of the Soviet Union, which determined that ideological expediency, not its artistic rank [4], is decisive when evaluating a work of art. On March 4, 1918 the resolution of the Sovnarkom "On the control of film production" was published. On June 6, 1922, the so-called Mtavlit (the Authority of Literature and Publishing Houses) was legalized and

1 გაზ. კომუნისტი, 1927, N144, გვ. 2.
2 Authors V. Lenin and A. Lunacharsky.
3 კიკნაძე, წითელი ტერორი, 2019, გვ. 26.
4 კიკნაძე, ორმოცდაათიანელები, 2016, გვ. 218-219.

was responsible for the censorship of film production[5]. In 1920-1921, the Resolution on Proletarian Culture was drafted[6]. In literature, this process began earlier, when in 1905 Lenin's pamphlet, Party Organization and Party Literature, was published. The Bolshevik Party does not enter any field without its planned leadership and influence. Of course, writing is also organically included in the scope of Bolshevik influence.[7] On April 23, 1932, the government decree "On the transformation of literary-artistic organizations" was issued, on the basis of which socialist realism was officially established.[8]

The Soviet Union, as a totalitarian government, sought to control and subordinate all aspects of individual life, including culture to the authority of the state. For the Bolsheviks, art was a means of agitation-propaganda of their own party ideas, therefore the order demanded the creation of portraits of revolutionaries and leaders, a strong state and the face of a happy Soviet person in art, which should be meticulously realistic. "The primary task of Soviet art is to talk and give direction to people, that is, first of all, to be understandable to people and to serve them. Thus, it is self-evident that Soviet art can only be realistic"[9]. The slogan "National in form and socialist in content" became the motto of the propaganda works. Among them was ZAHESI, the construction of which near the historical city of Mtskheta and placing a statue of Lenin at the dam[10], which sharply contrasted with the cross temple of Mtskheta on the top of the mountain behind it, was a clear ideological focus.

Electric power in Georgia was first produced in 1887, when thermal engines were installed in the building of the Georgian Drama Theatre in Tbilisi[11]. The first water-powered station in Borjomi was designed in 1898-1899[12] by architect V.S. Schengardt.[13]. The issue of building a new HPP in Georgia, already occupied by Soviet Russia, arose again in 1922. On September 10, 1922 the Great Saturday was held in the territory of Zemo Avchala[14], and ZAHESI Commission was created[15]. HPP construction launched in 1922. On June 26, 1926 Stalin also attended the works[16]. In 1947 artist Konstantine Kiknadze created a large painting celebrating the event[17]. The official HPP opening ceremony, which is also depicted in the film chronicle, was held on June 26, 1927. The Communist newspaper wrote: "Soviet Georgia and its sister republics are celebrating the opening of ZAHESI today"[18]. A documentary was filmed about the construction of the HPP[19]. The opening program of ZAHESI was presented far ahead of a launch in the press release. The construction of a Georgian-style ceremonial arch, Lenin's statue illuminated with colored lamps, or the use of other theatrical methods, coupled with dance-games (Barikaoba, Keenoba) accompanied by a symphony orchestra, made this event a public celebration[20], where ZAHESI emerged as a symbol of a new era and a new Georgia.

5 გვახარია, ცენზურა კინოში, 2021, გვ. 150-151.
6 ხატიაშვილი, საბჭოთა მითოლოგიური რეალიზმი, 2012, გვ. 137-138.
7 მეტრეველი, ტრადიციებთან მებრძოლი, 2019, გვ. 187.
8 კიკნაძე, დას. სტატია, ორმოცდაათიანელები, 2016, გვ. 222.
9 კიკნაძე, წითელი ტერორი, 2019, გვ. 35.
10 After the collapse of the Soviet Union, the statue was removed and its location still remains unknown. (დ.ნ)
11 ზაზუნიშვილი, ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური, 2018, გვ. 293-294.
12 ზაზუნიშვილი, დას. სტატია.
13 ღვინერია, ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური, თბ, 2018, გვ. 293. Author of idea was Frierich Moldenhauer. Borjomi HPP functioned until the middle of XX century. In 1970-1975 in building was museum of soviet glory.
14 ჩოგოვაძე, ჰიდროელექტროსადგურების, 1968, გვ. 47.
15 ჩოგოვაძე, ხელმძღვანელი შალვა ელიავა, დას. ნაშრომი, გვ. 47.
16 გაზ. კომუნისტი, 1926, N124, „სტალინმა თანხმლებ პირებთან ერთად დაათვალიერა მშენებლობის პროცესი და სტუმრების წიგნში ჩანაწერიც გააკეთა: გაუმარჯოს ჩვენ აღმშენებლობას, მუშებს და ტეხნიკურ ძალებს". სოსო ჯუღაშვილი. 2 ივნისი, 1926 წ". შემორჩენილია ამ ფაქტის ფოტოსურათებიც. (იხ. ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელი)
17 ИСКУССВО СОВЕТСКОЙ, 1952. გვ. 223.
18 გაზ. კომუნისტი, 1927, N144, გვ. 1.
19 Film was shown in cinema Apolo. გაზ. კომუნისტი, 1927, N143, გვ. 4.
20 მზადება ზაჰესის საზეიმო გახსნისათვის. გაზ. კომუნისტი. 1927, N140, გვ. 2.

The ZAHESI complex includes several buildings: a power house, a distribution facility, a dam[21]. The complex was designed by Anatoly Kalgin, Mikheil Machavariani and Konstantin Leontiev[22]. Anatoly Kalgin,[23] who participated[24] in the expeditions organized by Ekvtime Takaishvili to study medieval Georgian architecture, realized the experience in his[25] work, which was clearly seen in the building of the Georgian National Bank of Nobility Office[26], built in 1912-1916 together with the artist Henryk Hryniewski, and then in the ZAHESI complex.

The primary artistic-architectural focus of the complex is the power house built on the bank of the Mtkvari. The main facade is divided into eight arched, wide and flat segments. The segments have wide windows of the same shape. They are intended for additional lighting in the interior, and the curved shape of the arch makes the facade more poignant and expressive.

Hydraulic engineer Bagrat Mikeladze was an important figure in the construction of the ZAHESI HPP, and later worked on the construction of the Rioni HPP. For these buildings, he was awarded the Red Order of Labor in 1927, and the Order of Lenin in 1936. On August 24, 1937, Bagrat Mikeladze was executed by Soviet authorities. His family keeps an archive of photos by Boris Tronov depicting the construction of ZAHESI[27].

It is important to realize on what principle the area around Mtskheti was chosen for the construction of the HPP. The driving factor would probably be the importance of Mtskheti, an ancient city with an ancient history, and subsequently, the importance of a sacred place for Christians. "In Mtskheta, the Georgian cosmos was bound, it was a chronotropic in which the sacred time-space and the cultural layers[28] of Georgians were intertwined." There is no reason that this very area was chosen to erect a large-scale statue of Lenin, which, according to Dimitri Tumanishvili, was intended to root pseudo-religion and pseudo-cult[29]. In the 1920s, Lenin monuments were erected in many cities of Georgia, including in Kutaisi, on the site of the Cathedral destroyed[30] in 1924, by Iakob Nikoladze in 1926[31] or 1927[32]. The monumental statue of Lenin had a grand architectural complex as a background[33].

Soviet ideologists considered the statue standing in the open space to be the best way to build[34] mass consciousness. A special commission came from Moscow [35] to select a place for the statue. The statue, authored by Russian sculptor Ivan Shadri (1887-1941), was cast in bronze at the then Leningrad (now St. Petersburg) factory[36].[37] The statue standing on a high pedestal[38]

21 ბერიძე, საბჭოთა არქიტექტურის, 1955, N4, გვ. 94-96.
22 იქვე. გვ. 79.
23 ა. კალგინის შესახებ იხილეთ კვლევა: ბერძენიშვილი გ., ანატოლი კალგინი 145, თბ. 2020 წ.
24 ა. კალგინი ე. თაყაიშვილს სამხრეთ საქართველოში გამართულ ორ ექსპედიციაში ახლდა თან: 1907 წელს კოლა ოლთისში და 1917 წელს ტაოში, სადაც ძეგლების ანაზომებს აკეთებდა და ამ პროცესს ხელმძღვანელობდა. თაყაიშვილი ე., ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, ტფ. 1924, თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია, 1907 წელს, პარიზი, 1938.
25 კიკნაძე, ჰრინევსკი 150, 2019.
26 Presently the first office of Parliamentary Library of Georgia. L Gudiashvili Street.
27 მიქელაძე-ბახსოლიანი, ზაჰესი, 2022.
28 კლდიაშვილი, ისტორიის რეცეფცია, 2015, გვ. 113.
29 თუმანიშვილი, XX საუკუნის ქართული ხელოვნება, 2020, გვ. 163.
30 კეზევაძე, ქუთაისის სობორო, გვ. 13-19.
31 შანიძე, იაკობ ნიკოლაძე, 1962, გვ. 19.
32 ისტორიის ფურცლები, 2017, გვ. 69.
33 ძეგლის დაკვეთის და მომზადების პროცესის შესახებ არაერთხელ დაიწერა პრესაშიც, იხ. გაზ. მუშა, 1924, N496, N498, 1926. N971, N985.
34 მონუმენტური პროპაგანდის გეგმა, სწორედ, საბჭოთა ბელადებისა და რევოლუციონერების ქანდაკებების დადგმას გულისხმობდა (დ.ნ).
35 გაზ. კომუნისტი, 1926, N126, გვ. 3.
36 გაზ. კომუნისტი, 1926, N198, გვ. 3.
37 Real last name is better Ivanov, he was from Shadr. (დ. ნ.).
38 Hight of statue was 22 m. Architect was S. Chernishov. კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ. 1990, გვ. 283.

had the index finger of its right hand pointing down towards the river. This gesture was a clear expression of dominance.

A number of other works dedicated to ZAHESI carry the same artistic meaning. In 1927, Meliton Balanchivadze wrote the cantata *Dideba Zahess* [*Glory to ZAHESI*][39] just for the opening ceremony of ZAHESI. Balanchivadze looks back on that Stalin commissioned him to write a piece about ZAHESI when he visited his opera Darejan the Wily[40]. On the cover of the cantata's score, in the lower right corner, there is a statue of Lenin, whose commanding gesture is directed towards the mass of people in front of him, the Mtkvari and, in the upper left corner, the Jvari in Mtskheta. In 1926, Boris Vogel made several paintings on the subject of ZAHESI, in which ideological accents are the least visible. Probably in 1926-1927, Emma Lalaeva-Ediberidze made the ZAHESI poster in Georgian and Russian languages. It is strange that the monument of Lenin is not visible in the diagonal composition where the inscription ZAHESI is dominant. The statue had not yet been erected when the artist created the poster, if he did not paint it himself, I do not know. If we consider the work of the Russian artist Ignat Nivinsky dated 1927[41], we can see that the statue of Lenin occupies the entire right side and stands above everyone and everything, emphasizing its dominant importance.

Irakli Toidze's painting *Labor Holiday*[42] includes a viable element: a man dressed in national clothes with a basket of grapes in his hand, which evokes the association of vintage. Emphasizing nationalism in general was one of the demands of Soviet propaganda, as if to preserve the identity of the nation.[43]. Next to the man is a silhouette of the statue of Lenin, gesturing towards the man with raised arms. Here is a picture of ZAHESI from the list of the exhibition to be held in Moscow[44]. The 1952 Russian editio non Georgian fine art, on the cover of which is used an engraving of this work by Irakli Toidze, made by artist Mikhail Matorin provokes the interest[45]. The topic, composition, figures are the same, although there is a difference in one key aspect: there is no monument to Lenin. This raises questions: what was the author of the engraving guided by? What was the purpose?

Irakli Toidze's picture *Ilyich's Bulb* is outstanding, perhaps one of the most typical examples of social realism on the ZAHESI topic. The identification of the eternal light and the leader, the establishment of his greatness in everyday life, which carried the burden of constant worship and was an effective expression of the general propaganda line.

The ZAHESI topic is also relevant in the 1930s cinema. Two films stand out: *Khabarda* (1931) by Mikheil Chiaureli, where HPP appears in the final episode of the film, and Dziga Vertov's documentary, *Three Songs about Lenin* (1934) dedicated to the 10th anniversary of Lenin's death.[46].

ZAHESI's topic is embedded in one of the outstanding examples of Soviet architecture, the building of the Marx-Leninist Institute (1938), Hugo de Vries' Soviet industrialization section[47]. The author of the bas-reliefs is Tamar Abakelia[48].

A decorative sketch by Ioseb Sharleman, *The Deputy* (probably created for a play)[49], uses a view of ZAHESI as the background. The monument of Lenin and the Mtskheta Jvari placed between two electric poles have a clear distinctive content feature.

Subjugation of writing and use of literature for party

39 ბალანჩივაძე მ., ჩაჩავა ნ. (ტექსტის ავტორი), 1927, (at the stage i do not know who is the author of the cover.(დ. ნ))
40 ხუჭუა, მელიტონ ბალანჩივაძე, 1950, გვ. 81-82.
41 Аболина, Ленин,1987, ფოტო N 36, გვ. 57.
42 The image has been published under this title ა. კლდიაშვილის სტატიაში - ისტორიის რეცეფცია, 2015, N4, გვ. 118. სურ. 6.
43 კლდიაშვილი, დას. ნაშრ., გვ. 119.
44 საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი. ფონდი 10, ანაწ. 1, საქ. 1, ფურც. 86, 87.
45 საბჭოთა საქართველოს ხელოვნება. (რუსული გამოცემა).1952.
46 გვახარია გ., ცენზურა კინოში, თბ. 2020, გვ. 155.
47 Architect was Alexey Shchusev.
48 შანიძე, ქართული საბჭოთა ქანდაკება, 1975, გვ. 81.
49 ჩემთვის უცნობია რომელი სპექტაკლის ესკიზია და განხორციელდა თუ არა დადგმა. (დ.ნ.)

interests was one of the goals of the communists[50]. ZAHESI-related stories and poems appear in magazines and newspapers during the HPP construction. In the poem *Mtkvaristani*[51], where ZAHESI is presented as the sun, a good expression for the idea of subjugating nature is the stanza where Mtkvari "says": "What shall I do, my heart has been torn by lightning rods / What shall I do, they break my neck with iron rods"[52]. The focus on subjugation of the Mtkvari and nature was special: "They stampeded the Mtkvari with a strong concrete gate and heavy iron shields, curbing its roar, and involved it in the construction work." "Every February 25, I sing to Zahesi," this is an introduction to the date of the Establishment of the Soviet Power in Georgia[53], following the October Revolution, February 25, 1921. There is an interesting comparison in Giorgi Leonidze's poem: "And you, Zahesi, the Kartli's Bowl", which means raising the importance of the power plant to a sacred level[54].

Notably, literary criticism, where Georgian authors, in particular Geronti Kikodze, were reprimanded for daring to place the cross of Mtskheta above ZAHESI. "It puts the primitive culture of stone and lime higher than electrification[55]. The "confrontation" between the Mtskheta Jvari and ZAHESI was depicted by Shalva Dadian in the story A.T.E, the story of two architects who decided to restore the Mtskheta Jvari Cathedral and had a tongue-fence with ZAHESI workers on the way to Mtskheta. Engines, turbines, and electronics were more important to the member of a collective farm woman Elo than some old and moss-covered wall.[56]. Illustrated poems and short stories were published in several issues of the children's magazine Nakaduli in 1927: *The Birds of ZAHESI*[57] and *The Ship of ZAHESI*[58]. ZAHESI was a new sun for Tbilisi[59], which light even the blind felt[60].

Creating the "New Man" was the communists' idea. In this process, the works created on the theme of subjugation of culture and industrialization were of top priority. The fact that industry was particularly important can be clearly seen in the pseudonyms of Soviet high-ranking officials, for example: Stalin (Russian: *steel*), Molotov (Russian: *hammer*)[61]. The HPP's architecture testified to the victory of man over the natural forces[62]. In itself, the construction of hydropower plants was the result of scientific and technical progress and meant the improvement of people's existence, but it also turned into an ideological tool for the Soviet government. These ideological swords contributed to the creation of Soviet people's self-awareness and the appearance of a powerful system, while the devaluing of the importance of traditional culture against the background of new achievements was the second ideological sword. By obeying the culture, where art was not supposed to be neutral[63], it turned it into an object of propaganda, and in such an environment, the artist created art "national in form and socialist in content", rejecting creative freedom and the content perfectly expressed by Akaki Bakradze: "Artistic freedom, first of all, implies two necessary components: first, the writer (artist in general) must have his own concept and, second, moral responsibility. The principle of partisanship of literature denies both

50 მეტრეველი, ტრადიციებთან მებრძოლი, 2019, გვ. 185-212.
51 მნათობი, 1926, ტფ. N2. გვ. 11-12.
52 გაზ. კომუნისტი. 1927, N44, გვ. 3.
53 მაშაშვილი, დიდება ზაჰესს, 1927, N45, გვ. 3.
54 ლეონიძე, სიმღერები ელექტროფიკაციისა, 1927, N10, გვ. 24.
55 ქიქოძე, ანგარიში და კრიტიკა, 1929, N1, გვ. 132.
56 დადიანი, რჩეული თხზულებანი, 1958 წ. გვ. 381.
57 სიხარულიძე ი., ზაჰესის ჩიტები, 1927, N7, გვ. 4.
58 ჟურ. ნაკადული, 1927, N8. გვ. 11-16.
59 ახალი მზე, გაზ. კომუნისტი, 1927, N144, გვ. 4.
60 ბრმებმაც კი იგრძნეს, გაზ. კომუნისტი, 1927, N144, გვ. 4.
61 მონტეფიორე, სტალინი, 2012, გვ. 47.
62 მიხაილოვი, სამოქალაქო, 1978, გვ. 414-415.
63 1925 წლის 18 ივლისს გამოქვეყნდა ცენტრალური კომიტეტის შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: კლასობრივ საზოგადოებაში არ არის და არც უნდა იყოს ნეიტრალური ხელოვნება. იხ. სტატია მეტრეველი ს., ტრადიციებთან მებრძოლი, 2019, გვ. 187.

components and, thus, artistic freedom"[64].

ZAHESI was the key pillar of industrialization in the 1920s-1930s. Large industrial projects implemented in the following decades were also widely reflected in art (Rioni HPP, Chiatura manganese deposit). At all events, ZAHESI, built in the first decade of the Sovietization of Georgia and in general, at the first stage of the Soviet art concept formation, had a special significance and contributed to the artistic interpretation of this topic in the future[65].

REFERENCES:

- ამაშუკელი თ., არქიტექტურის პოლიტიკური კონტექსტი, ჟურ. აკადემია, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 2018-2019, N7, გვ. 55-59.
- ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბ. 2019.
- ბერიძე ვ., საბჭოთა არქიტექტურის ისტორია, ჟურ. ARS-GEORGICA, N4, თბ. 1955, გვ. 94-96.
- ბერძენიშვილი გ., ანატოლი კალგინი, თბ. 2020.
- გვახარია გ., ცენზურა კინოში, თბ. 2021.
- დადიანი შ., რჩეული თხზულებანი. ტომი I. თბ. 1958.
- დარჩია ქ., ლალი ემა ლალაევა-ედიბერიძე. თბ. 2018.
- თაყაიშვილი ე., ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი. ALBUM D'ARCHITECTURE GEORGIENNE, ტფ. 1924.
- თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938.
- ზაზუნიშვილი ნ., ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი V სამეცნიერო საიუბილეო კონფერენცია - მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა. თბ. 2018.
- კეზევაძე მ., ქუთაისის სობორო. ჟურ. მწვანეყვავილა, ქუთაისი, N2, 2021, გვ. 13-19.
- კიკნაძე ე., წითელი ტერორი და ქართველი მხატვრები, თბ. 2019.
- კიკნაძე ე., ჰენრიკ ჰრინევსკი 150, თბ. 2019.
- კიკნაძე ე., ორმოცდაათიანელები - მხატვრული რეფორმა და მისი ისტორიული კონტექსტი, XX საუკუნის ხელოვნება, ტრადიცია და ინოვაცია, თბ. 2016. გვ. 217-232.
- კლდიაშვილი ა., „ისტორიის რეცეფცია მე-20 საუკუნის ქართულ მხატვრობაში, ჟურ. აკადემია, თბ. 2015, გვ. 108-119.
- ლეონიძე გ., სიმღერები ელექტროფიკაციისა, ქართული მწერლობა, 1927, N10.
- მნათობი, ტფ. 1926. N2. გვ: 11-12.
- მეტრეველი ს., ტრადიციებთან მებრძოლი მწერლობა, ჟურ. გული გონიერი, N23. თბ. 2019, გვ. 185-212.
- მიხაილოვი ბ., სამოქალაქო და სამრეწველო შენობების არქიტექტურა, თბ. 1978.
- მონტეფიორე ს., სტალინი წითელი მეფის კარი, თბ. 2012.
- ნანიკაშვილი ლ., დაუშვილი ა., ხაბერდია მ., ზაჰესის ისტორია, თბ. 1977.
- სიხარულიძე ი., „ზაჰესის ჩიტები". ჟურ. ნაკადული. თბ. 1927, N7.
- სოციალისტური საქართველოს შენება, სტატია: მიქელაძე-ბახსოლიანი ნ., ზაჰესი: ეს მექანიზმების მუზეუმია., თბ. 2022.
- ქიქოძე პ., „ანგარიში და კრიტიკა ათას ცხრაა ოცდარვა წლის ლიტერატურული პროდუქციის შესახებ, ჟურ. მნათობი, N1, 1929. გვ.132.
- ღვინერია თ., ბორჯომის ჰიდროელექტროსადგურის ისტორიულ-არქიტექტურული თავისებურებანი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი

64 ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, 2019, გვ. 42.

65 I would like to thank: Eka Kiknadze, Nato Gengiuri, Natia Mikeladze, Mariam Gvelesiani, Tamar Belashvili, Temur Kantaria-Jabadari, Kristine Darchia, George Papashvili.

მიძღვნილი V სამეცნიერო საიუბილეო კონფერენცია - მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა. თბ. 2018.
- შანიძე ლ., ქართული საბჭოთა ქანდაკება. თბ. 1975.
- შანიძე ლ., იაკობ ნიკოლაძე, ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1962.
- ჩოგოვაძე გ., ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საქართველოში, თბ. 1968.
- ხატიაშვილი თ., საბჭოთა მითოლოგიური რეალიზმი (ალექსანდრე მედვედკინის ფილმებზე დაყრდნობით), XX საუკუნის ხელოვნება, ხელოვნება ტოტალიტარიზმის პერიოდში, 1930-1960. თბ. 2012.
- ხუჭუა პ., მელიტონ ბალანჩივაძე, მონოგრაფია, თბ. 1950.
- ИСКУССВО СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ. НАРОДОВ СССР. МОСКВА. 1952.
- Аболина Р. Я., Ленин в советском изобразительном искусстве: Живопись. Скульптура. Графика, 1987, ფოტო N 36, გვ. 57.
- საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 10, ანაწ. 1, საქმე 1, ფურც: 86, 87.
- გაზ. კომუნისტი, 1926, N124, N126, N198; 1927, N45,N140, N144, N143.

1. ზაჰესის საგენერატორო სადგურის მშენებლობის პროცესი. ბაგრატ მიქელაძის ოჯახის არქივი.
CONSTRUCTION OF ZAHESI POWER HOUSE. BAGRAT MIKELADZE'S FAMILY ARCHIVE.

2. ლენინის ძეგლი გახსნამდე. ბაგრატ მიქელაძის ოჯახის არქივი. 1927.
LENIN'S MONUMENT BEFORE UNVEILING. BAGRAT MIKELADZE'S FAMILY ARCHIVE. 1927.

3. მელიტონ ბალანჩივაძის კანტატა „დიდება ზაჰესს" გარეკანი. 1927.
MELITON BALANCHIVADZE'S CANTATA, DIDEBA ZAHESS [GLORY TO ZAHESI]. 1927.

4. ემა ლალაევა-ედიბერიძე. პლაკატი ზაჰესი. 1927. არჩილ დარჩიას კოლექცია.
EMMA LALAEVA-EDIBERIDZE. POSTER ZAHESI. 1927.

5. ირაკლი თოიძე. ზაჰესი. 1927?
IRAKLI TOIDZE. ZAHESI. 1927?

6. მიხაილ მატორინის გრავიურა ირაკლი თოიძის სურათის მიხედვით. 1952 წლის გამოცემის გარეკანი
ENGRAVING BY MIKHAIL MATORIN BASED ON THE PICTURE OF IRAKLI TOIDZE. COVER OF THE 1952 EDITION

7. ლექსები ზაჰესზე. გარეკანის ავტორი ირაკლი გამრეკელი. 1927.
POEMS ABOUT ZAHESI. COVER AUTHORED BY IRAKLI GAMREKELI. 1927.



8. კინოკადრები მიხეილ ჭიაურელის ფილმიდან „ხაბარდა“ (1931).
CINEMA STILLS FROM MIKHEIL CHIAURELI'S FILM KHABARDA (1931).